1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 25 (148) 10 სექტემბერი 1961 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

392. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ.
393. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.
394. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის რკინიგზის პირდაპირი მიმოსვლის თაობაზე შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
395. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ნ. ი. ბობროვნიკოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
396. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. მ. ორლოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

397. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ა. ა. კასიანოვის შრომის წითელი დროშით დაჯილდოების შესახებ.
398. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სერჟანტ ნ. დ. მანზიუკის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
399. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ზ. ბორისოვის შრომის წითელი დროშით დაჯილდოების შესახებ.
400. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის ზემდგომი თ. ი. ახმატოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

392 ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომ შეზღუდვის შესახებ

საბჭოთა დემოკრატიის თანმიმდევრობით განვითარება, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა მართლწესრიგის დაცვასა და კანონიერების განმტკიცებაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა ქმნიან პირობებს დაჯარიმების, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომის, გამოყენების შემდგომ შეზღუდვისათვის.

ახლა, როცა ადმინისტრაციული იძულების სფერო სულ უფრო მცირდება, ისეთი ზომა როგორც არის ჯარიმა, გამოყენებულ უნდა იქნას იმ მოქალაქეთა, აგრეთვე თანამდებობის იმ პირთა მიმართ ისეთ შემთხვევებში, თუ საზოგადოებრივი ან დისციპლინური ზემოქმედების ზომები საკმარისად არ იქნება ცნობილი.

დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციების საქმიანობაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებასთან და თანამდებობის პირთა პირადი პასუხისმგებლობის შემდგომ გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების გამოყენება ახლა არ არის გამოწვეული აუცილებლობით, მით უმეტეს, რომ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დაჯარიმების არსებულ პრაქტიკას ბევრ შემთხვევაში მივყევართ დარღვევაში ნამდვილად დამნაშავე თანამდებობის პირთა დაუსჯელობამდე.

ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების შემდგომ შეზღუდვის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს შემცირდეს სახელმწიფო ორგანოების წრე, რომლებიც უფლებამოსილი არიან დააწესონ ჯარიმები, შემცირდეს დაჯარიმების უფლების მქონე თანამდებობის პირთა და ორგანოების წრე, შეიზღუდოს ნუსხა დარღვევებისა, რომელთა გამო შეიძლება დაჯარიმება, შემცირდეს ჯარიმების ოდენობა დარღვევების ცალკეულ სახეობებზე, განმტკიცდეს კანონიერება და კოლეგიალობის საწყისები დამჯარიმებელი ორგანოების საქმიანობაში.

სახელმწიფო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების პირობებში კანონმდებლობა ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების შესახებ უნდა მიეკუთვნოს მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას, დარჩება რა სსრ კავშირის გამგებლობაში ამ კანონმდებლობის მხოლოდ ძირითადი დებულებების განსაზღვრა და ჯარიმების დადგენა იმ წესების დარღვევაზე, რომელთა დამტკიცება მიეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას.

ეროვნული

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, დადგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში. დაჯარიმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების **აქტებით** უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ჯარიმების, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომის, დადგენა შეიძლება იმ წესების დარღვევაზე, რომელთა დამტკიცება მიეკუთვნება სსრ კავშირის განსაკუთრებულ გამგებლობას: წესების, რომლებიც უზრუნველყოფენ რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, და ამ სახეობათა ტრანსპორტით სარგებლობის წესებს, სამხედრო აღრიცხვის წესებს, სასაზღვრო რეჟიმის, საბაჟოს წესებისა და კონტრაბანდის, აგრეთვე იმ წესების დარღვევაზე, რომლებიც ჩამოთვლილია ამ ბრძანებულების 3 მუხლში და რომელთა დადგენა მიეკუთვნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივ გამგებლობას.

სხვა წესების დარღვევაზე, რომელთა დამტკიცება მიეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას, ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, შეიძლება დადგენილ იქნას სსრ კავშირის კანონებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით.

3. მოკავშირე რესპუბლიკების კანონებით, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებითა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით ჯარიმების, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომის, დადგენა შეიძლება სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად: ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის წესების დარღვევაზე მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში; არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრირების წესების დარღვევაზე და აკრძალული რეწვის საქმიანობაზე; სანიტარული, ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური წესებისა და ცხოველებისა და მცენარეთა კარანტინის წესების დარღვევაზე; საზოგადოებრივი წესრიგისა და საპასპორტო სისტემის წესების დარღვევაზე; ატმოსფეროს ჰაერის, ნიადაგის, წიაღისა და ტყეების, წყლის რესურსებისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევაზე; სახანძრო უშიშროების წესების დარღვევაზე, იმ წესების დარღვევაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო სამდინარო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ამ ტრანსპორტით სარგებლობის წესებს; კავშირგაბმულობის წესების დარღვევაზე.

სხვა წესების დარღვევაზე, რომელთა დადგენა მიეკუთვნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივ გამგებლობას, ჯარიმები, **როგორც**

ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, შეიძლება დადგენილ იქნას სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების კანონებითა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით.

4. დარღვევათა ნუსხა საკითხებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება და რომელთათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, დადგინდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიზღუდოს იმ საკითხების წრე, რომლებზედაც სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ საკითხების დარღვევაზე ითვალისწინებენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, და რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღების უფლება ჰქონდეთ მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, რაიონულ და საქალაქო საბჭოებს, ხოლო აღნიშნული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს — მხოლოდ სტიქიურ უბედურებათა, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

6. გაუქმებულ იქნას დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება.

დადგინდეს, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმდებიან თანამდებობის ის პირნი, რომლებმაც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით უნდა განახორციელონ ღონისძიებები დადგენილი წესების დროულად შესასრულებლად. აკრძალულ იქნას თანამდებობის პირებზე დაკისრებული ჯარიმების დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშზე მიკუთვნება.

7. დადგინდეს, რომ შეიძლება დაჯარიმდეს ის პირი, რომელიც ცნობილ იქნება დამნაშავედ ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენაში.

ჯარიმის ოდენობა დადგინდება ჩადენილი დარღვევის სიმძიმის მიხედვით, დამნაშავის პიროვნებისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

8. დაჯარიმება შეიძლება მხოლოდ იმ პირის, რომელსაც მის მიერ ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენამდე შეუსრულდა 16 წელი.

9. იმ დარღვევებისათვის, რომლებიც იწვევენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, სამხედრო მოსამსახურენი, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის პირები პასუხს აგებენ დისციპლინური წესდებების შესაბამისად.

10. ადმინისტრაციული წესით დადგენილი ჯარიმების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მოქალაქეებზე 10 მანეთს, ხოლო თანამდებობის პირებზე — 50 მანეთს.

სსრ კავშირის კანონებით და მოკავშირე რესპუბლიკების კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით განსაზღვრულ სახეობათა დარღვევებზე პასუხისმგებლობის გაძლიერების გან-

საკუთრებული საჭიროების შემთხვევებში შეიძლება დადგესილ იქნას გადიდებული ჯარიმა: მოქალაქეებზე 50 მანეთამდე და თანამდებობის პირებზე 500 მანეთამდე.

11. ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას განახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, ხოლო ამ ბრძანებულების 13 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონებით და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით გამონაკლის შემთხვევებში ცალკეულ სახეობათა დარღვევაზე ადმინისტრაციული დაჯარიმების უფლება შეიძლება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

12. ადმინისტრაციული კომისიები იმყოფებიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ, საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებთან და მათ ქმნიან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოები საბჭოების დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. ადმინისტრაციული კომისიები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან საზოგადოებრიობის ფართო აქტივს.

ადმინისტრაციული კომისიების შემადგენლობას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

13. შეუნარჩუნდეს ადმინისტრაციული კომისიებისადმი მიმართვის გარეშე ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება:

მილიციის ორგანოებს — საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე, წესების დარღვევაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას, აგრეთვე ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევაზე;

რკინიგზის ტრანსპორტის, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო ფლოტის ორგანოებს — სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევაზე, მოძრაობის წესებისა და უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევაზე, აგრეთვე ტრანსპორტზე სახანძრო უსაფრთხოების წესების და სანიტარული წესების დარღვევაზე;

პროფკავშირთა საბჭოების ტექნიკურ ინსპექტორებს — ტექნიკური უშიშროებისა და შრომის დაცვის წესების დარღვევაზე;

საბაჟო ორგანოებს — საბაჟო წესების დარღვევაზე და კონტრაბანდაზე;

სასაზღვრო დაცვის ორგანოებს — სასაზღვრო რეჟიმის წესების დარღვევაზე;

თავდაცვის სამინისტროს ორგანოებს — სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევაზე;

სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებს — სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარული და ეპიდემიის საწინააღმდეგო წესების დარღვევაზე;

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს — სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე;

წყლის რესურსების, თევზის დაცვის, სატყეო მეურნეობის დაცვის ორგანოებს — შესაბამისად წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობისწესების დარღვევაზე, თევზის ჰერის წესების დარღვევაზე, ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე.

ამ მუხლით გათვალისწინებული ცალკეული კატეგორიის საქმეები დარღვევების შესახებ განსახილველად შეიძლება გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ, საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს სსრ კავშირის კანონმდებლობით და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ამ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს და თანამდებობის პირებს დამრღვევთა მასალები დასაჯარიმებლად შეუძლიათ გადასცენ აგრეთვე ადმინისტრაციულ კომისიებს.

14. თითოეული ადმინისტრაციული დარღვევის შესახებ, გარდა შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ჯარიმა გადახდევინებულ იქნება ადგილზე, უნდა შედგეს ოქმი (აქტი) დამრღვევის პირადობის, დარღვევის ხასიათის, ადგილისა და დროის, აგრეთვე მოწმეების ჩვენებით.

ადმინისტრაციული დარღვევების შესახებ საქმეთა წარმოების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

15. ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება არ შეიძლება მოხდეს დარღვევის ჩადენის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

ადმინისტრაციული კომისიის, სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილება დაჯარიმების შესახებ, რომელიც არ შესრულდა სამი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოტანისა, აღსრულებას არ ექვემდებარება.

16. ორგანოებს ან თანამდებობის პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება დააჯარიმონ მოქალაქენი ადმინისტრაციული წესით, უფლება აქვთ ნაცვლად დაჯარიმებისა გააფრთხილონ დამრღვევი პირი ან გადასცენ მასალები მის შესახებ ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

ადმინისტრაციული სასჯელის დამდები ორგანო ან თანამდებობის პირი, როგორც წესი, ვალდებული არიან ამის შესახებ აცნობონ საზოგადოებრიობის დამრღვევის სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

17. ჯარიმა, რომელიც მოქალაქის, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ გადახდილი არ იქნება 15 დღის განმავლობაში დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარების დღიდან, გადახდევინებულ იქნება უდაო წესით დაჯარიმებულის ხელფასიდან ადმინისტრაციული კომისიის ან სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილებით დაჯარიმების შესახებ.

თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს, ჯარიმის გადახდევინებას ახდენს სასამართლო აღმასრულებელი დაჯარიმებულის ქონებიდან დაჯარიმების შესახებ ადმინისტრაციული კომისიის ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილების საფუძველზე.

18. ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულ მოქალაქეებს ან თანამდებობის პირთ უფლება აქვთ გაასაჩივრონ დადგენილება დაჯარიმების შესახებ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დადგენილების ჩაბარების დღიდან 10 დღის განმავლობაში.

სასამართლოში საჩივრის შეტანა აღნიშნული ვადის განმავლობაში შეაჩერებს ჯარიმის გადახდევინებას. ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის სამი თვის ვადის მსვლელობა, რომელიც დადგენილია ამ ბრძანებულების 15 მუხლით, შეჩერებულ იქნება.

19. არასწორად დაჯარიმებაზე სასამართლოებში საჩივრის განხილვის წესი, აგრეთვე ქონების ნუსხა, რომელიც ჯარიმის გადახდევინების დროს არ ექვემდებარება ამოღებას, დადგინდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

20. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, აკრძალულია მისი შეცვლა გამასწორებელი სამუშაოებით.

21. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა შეიტანონ საჭირო ცვლილებები მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას.

22. ამ ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 4 იანვრის დადგენილება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დადების შეზღუდვის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1928 წელი, № 5, მუხლი 42) შემდგომი ცვლილებებით და დამატებებით (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1928 წელი, № 60, მუხლი 536; 1931 წელი, № 8, მუხლი 89);

ბ) „იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც მიღებული იქნა სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ელ და მე-3 სესიებს შორის პერიოდში და რომლებიც სსრ კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-18 მუხ. ძალით დამტკიცებულ უნდა იქნენ მე-4 მოწვევის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ“ სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 19 აპრილის დადგენილების შესაბამისად (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1928 წელი, № 24, მუხლი 213);

გ) ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება გადასახადების ამოღებისა და არასაგადასახადო გადასახდელების შესახებ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1932 წელი, № 69, მუხლი 410-ბ), იმ ნაწილში, რომელიც ეხება ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულ მოქალაქეთაგან ჯარიმის გადახდევინებას;

დ) სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 11 აპრილის დადგენილება „სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალური ჩაბარების და ჯარიმების ხაზით ნარჩენების დასაფარავად კოლმეურნეობათა, შინამრეწველ-სარეწაო არტელებთა და ცალკეულ მოქალაქეთა ქონების ადმინის-

ტრატიული წესით ჩამოთვლის და სასამართლო წესით ჩამორთმევის დადგენის გაუქმების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1937 წელი, № 30, მუხლი 120) იმ ნაწილში, რომელიც ეხება ადმინისტრაციულ ჯარიმებს.

23. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნება 1962 წლის 1 იანვრიდან და უკუქცევითი ძალა აქვს დაჯარიმებულ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა, აგრეთვე დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან გადაუხდეველ ჯარიმების მიმართ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

393 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ მოწონებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1961 წლის 6 ივლისს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 31 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

394 საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის რკინიგზის პირდაპირი მიმოსვლის თაობაზე შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის რკინიგზის პირდაპირი მიმოსვლის შესახებ, ხელმოწერილი ანკარაში 1961 წლის 27 აპრილს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 1 სექტემბერი.

395 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ნ. ი. ბობროვნიკოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **ბობროვნიკოვი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 2 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

396 სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. მ. ორლოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. გიორგი მიხეილის ძე **ორლოვი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 5 სექტემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

397 კომპოზიტორ ა. ა. კასიანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი კომპოზიტორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **კასიანოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 28 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

398 სერჟანტ ნ. დ. მანზიუკის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

პარაშუტით საწვრთნელი ჩამოხტომების დროს ამხანაგის სიცოცხლის გადასარჩენად გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის სერჟანტი ნიკოლოზ დიმიტრის ძე **მანზიუკი** დაჯილდოებულ იქნას მედლით **„მამაცობისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

399 ამხ. ს. ზ. გორისოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სკკპ იაკუტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. სიმონ ზაქარიას ძე **გორისოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 6 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

400 მილიციის ზემდეგის თ. ი. ახმატოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს თავგანწირული მოქმედებისათვის მილიციის ზემდეგი თოხთახუნ ისლამის ძე **ახმატოვი** დაჯილდოებულ იქნას მედლით **„მამაცობისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 6 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ-ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲓᲐᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲐᲚᲐᲙᲝᲕᲝᲡ ᲛᲘᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით სარატოვის ოლქის ბალაკოვოს რაიონის ქალაქი ბალაკოვო მიეკუთვნა საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას.

ბალაკოვოს საქალაქო და რაიონული საბჭოები გაერთიანდა ბალაკოვოს მშრომელთა დეპუტატების ერთ საქალაქო საბჭოდ.

ბალაკოვოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დაექვემდებარა ბალაკოვოს რაიონის სასოფლო საბჭოები, ბალაკოვოს რაიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, შენარჩუნებით.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ

რუსეთის სფს რესპუბლიკის 1961 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით ჩიტას ოლქის გაზიმურო-ზავოდსკისა და შახტამინსკის რაიონები გაერთიანდა ერთ **შელოპუგინოს** რაიონად ცენტრით სოფელ **შელოპუგინოში.**

ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულებით საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას მიეკუთვნა ყარაგანდის ოლქის შემდეგი დასახლებული პუნქტები:

ა) დასახლებული პუნქტი ტენტეკი, მისთვის ქალაქ **შახტინსკის** სახელწოდების მინიჭებით.

შახტინსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაეცა დასახლებული პუნქტები შახანი, ყარაჯარის გეოლოგიურ-კვლევითი პარტიის, ჩრდილოეთ-დასავლეთის გეოლოგიურ-კვლევითი პარტიის, შერუბაი-ნურინსკის გეოლოგიურ-კვლევითი პარტიის, აგრეთვე ნოვოდოლინსკის სადაბო საბჭო და დოლინსკის სასოფლო საბჭო;

ბ) საქალაქო დაბა ჩურუბაი-ნურა მისთვის ქალაქ **აბაის** სახელწოდების მინიჭებით.

აბაის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაეცა დასახლებული პუნქტები ნოვი ყარაგანი, იუჟნი ყარაგანი, ვოლნი, სადგური კზილი და ყარაბასის სადაბო საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო დაბა ალგის მიკუთვნება რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისადმი

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულებით აქტიუბინსკის ოლქის კლიუჩევოის რაიონის საქალაქო დაბა ალგა მიეკუთვნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას.

რ ს ფ ს რ

კონდინსკოეს რაიონის ცენტრის სოფელ ნახრაჩის გადარქმევა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ტიუმენის ოლქის ხანტიმანსიისკის ნაციონალური ოლქის კონდინსკოეს რაიონის ცენტრი სოფელი ნახრაჩი გადარქმეულია სოფელ **კონდინსკოედ**.

ბელორუსიის სსრ

ქალაქის დაბა შატილკის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნა და პარიჩის რაიონის გადარქმევა

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 ივლისის ბრძანებულებით გომელის ოლქის პარიჩის რაიონის ქალაქის დაბა შატილკი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად და მიენიჭა სახელი — ქალაქი **სვეტლოგორსკი**.

პარიჩის რაიონი გადარქმეულია **სვეტლოგორსკის** რაიონად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 25 (148) 10 სექტემბერი 1961 წ.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8, მთავრობის სახლი

ფასი 10 კაპ.

ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА
ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 25 (148) 10 сентября 1961 г.

Редакционная коллегия

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели, 8, Дом Правительства

ЦЕНА 10 КОП.

შეკვეთა № 682 ტირ. 1500

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления делами Совета Министров Грузинской ССР